165/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (272) 30 იანვარი 1965 წელი


## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი


29. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ვ. ზახაროვის განთავისუფლების შესახებ.
30. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ე. კოვალიოვის დანიშვნის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


31. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
32. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რ. ზორგეს ხელმძღვანელობით მომუშავე სადაზვერვო ორგანიზაციის წევრთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.
33. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. თ. პივოვაროვის და კ. მ. სოლოვიოვას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
34. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. ლ. ნეუსტროევის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
35. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინოსტუდია „მოსფილმთან“ არსებული კინომსახიობის ცენტრალური სტუდიის მსახიობ ნ. ა. კრიუჩკოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
36. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტ ა. პ. ოგნივცევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნებების ახალი სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. რისმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობა.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის რაიონის სოფლების დიდი მიტარბის და პატარა მიტარბის ტბის სასოფლო საბჭოდან გამოყოფისა და ბაკურიანის სადაბო საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

### განყოფილება მეორე

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ყორყოლაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ნ. ნიკოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ა. ანტონოვსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პერზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. ხახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ჭოლოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ჩარგეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. კულიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა, ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**29** ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ვ. ზახაროვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ალექსი ვასილის ძე **ზახაროვი** ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.
№ 3214-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**30** ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ე. კოვალიოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანდრია ეფიმეს ძე კოვალიოვი ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.
№ 3215-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**31** ამხ. ბ. ნ. პონომარიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბორის ნიკოლოზის ძე **პონომარიოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 იანვარი.
№ 3204-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 32 რ. ზორგეს ხელმძღვანელობით მომუშავე სადაზვერვო ორგანიზაციის წევრთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის წინ და ომის პერიოდში რ. ზორგეს ხელმძღვანელობით მომუშავე სადაზვერვო ორგანიზაციაში აქტიური და წარმატებითი საქმიანობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**წითელი დროშის ორდენით**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე მაქს **კლაუზენი**.

**სამამულო ომის I ხარისხის ორდენით**

იუგოსლავიის მოქალაქე ბრანკო **ვუკელიჩი** (სიკვდილის შემდგომ).

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ანა **კლაუზენი**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 იანვარი.

№ 3207-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 ნ. თ. პივოვაროვის და კ. მ. სოლოვიოვას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებული ბავშვების გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

ნიკოლოზ თევდორეს ძე **პივოვაროვი** — პენზის ოლქის „სელხოზტექნიკის“ ბელინსკის რაიონული განყოფილების მუშა.

კლავდია მიხეილის ასული **სოლოვიოვა** — დიასახლისი, პენზის ოლქის ბელინსკის რაიონის სოფელი ბოლშაია ლუკა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.

№ 3210-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 ა. ლ. ნეუსტროევის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ანატოლ ლეონიდეს ძე **ნეუსტროევი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის"**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** ა. მიქოიანი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი** მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.

№ 3211-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 კინოსტუდია „მოსფილმთან" არსებული კინომსახიობის ცენტრალური სტუდიის მსახიობ ნ. ა. კრიუჩკოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის კინოსტუდია „მოსფილმთან" არსებული კინომსახიობის ცენტრალური სტუდიის მსახიობს ნიკოლოზ ათანასეს ძე **კრიუჩკოვს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** ა. მიქოიანი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი** მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.

№ 3212-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტ ა. პ. ოგნივცევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტს ალექსანდრე პავლეს ძე **ოგნივცევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** ა. მიქოიანი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი** მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 იანვარი.

№ 3213-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების ახალი სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. რისმა

19 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ლეონ რისი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების ახალი სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ლ. რისს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

რწმუნების ახალი სიგელები ელჩმა გადასცა იმასთან დაკავშირებით, რომ ლუქსემბურგის სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა დიდი ჰერცოგი ჟანი.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნევინომისკის ქიმიური კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისა და ათვისებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 143 მუშაკი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „სტავროპოლხიმსტროის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ლ. ა. გლუხოვი. ქიმკომბინატის ამიაკის წარმოების საამქროს უფროსი მეაპარატე ვ. პ. ზაიცევი, ტრესტ „სტავროპოლხიმსტროის“ მმართველი ი. ტ. მატიუშჩენკო და ტრესტ „სტავროპოლსანგაზმონტაჟის“ ნევინომისკის სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი ე. მ. ნიკაკოშევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 17 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 42, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 42 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 38 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## საინფორმაციო ცნობა

### საიმის არხის საბჭოთა ნაწილის და კუნძულ მალი ვისოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული იმ ხელშეკრულების ოქმის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1962 წლის 27 სექტემბერს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იხელმძღვანელეს იმით, რომ ხელშეკრულება საბჭოთა სო-

მუხ. 37
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცialისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემის შესახებ მნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულების საქმეში, მხედველობაში მიიღეს ფინეთის რესპუბლიკის სურვილი გასწორდეს საიმის არხის ტრასა ტბა ნუიამა-იარვის რაიონში და გადაწყვიტეს დადონ ოქმი, რომელიც ითვალისწინებს საიჯარო ტერიტორიის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლას.

ოქმი ხელმოწერილია ჰელსინკში 1964 წლის 11 აგვისტოს.

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 7 დეკემბერს; ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1964 წლის 28 აგვისტოს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა 1964 წლის 18 დეკემბერს მოსკოვში.

ოქმის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 3, 1965 წლის 21 იანვარი).

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**37 ბორჯომის რაიონის სოფლების დიდი მიტარბის და პატარა მიტარბის ტბის სასოფლო საბჭოდან გამოყოფისა და ბაკურიანის სადაბო საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ბორჯომის რაიონის ტბის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ბაკურიანის სადაბო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 38 ამხ. შ. ი. ჟორჟოლაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დამდგმელ მხატვარს შალვა იპოლიტეს ძე **ჟორჟოლაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 19 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 39 ამხ. რ. ნ. ნიკოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი რუსუდან ნიკოლოზის ასული **ნიკოლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 19 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 40 მწერალ ა. ა. ანტონოვსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად ქართველი ხალხის ისტორიიდან, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მწერალი ანა არნოლდის ასული **ანტონოვსკაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 19 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 41 ამხ. ნ. დ. ხახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ნინო დურსუნის ასული **ხახუტაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1965 წლის 19 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 42 ამხ. ი. ი. ქოლოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თადარიგის პოდპოლკოვნიკი ამხ. იოსებ იოსების ძე **ქოლოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1965 წლის 20 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 43 ამხ. გ. ი. ჩარგეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თადარიგის პოლკოვნიკი ამხ. გიორგი იოსების ძე **ჩარგეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1965 წლის 20 იანვარი.

ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 44 ამხ. ვ. ვ. კულიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თადარიგის პოლკოვნიკი ამხ. ვიქტორ ვასილის ძე კულიკოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 20 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 45 ამხ. შ. ა. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი ამხ. შალვა ალექსანდრეს ძე **ნიჟარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 20 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“

მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი 5

# დაიბეჭდა რუსულ ენაზე და იყიდება სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის

# სტენოგრაფიული ანგარიში

**(1964 წლის 9-11 დეკემბერი)**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დანართში ქვეყნდება: კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ; სსრ კავშირის კანონი სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ; სხვა საკანონმდებლო აქტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული, აგრეთვე პალატათა დადგენილებანი.

**წიგნის ფასი 92 კაპიკი.**

იყიდება წიგნის მაღაზიებში.

თუ მაღაზიაში ეს წიგნი არ აღმოჩნდება, შეკვეთა შეგიძლიათ უშუალოდ გაგზავნოთ გამომცემლობა „იზვესტიას“ ფირმის საწყობში: მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5.